



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჯარო შეტყობინების განხორციელების შესახებ

საქმე №2ბ/486-11

22 მარტი 2011 წელი
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ბესარიონ ტაბალუა
მოსამართლეები: მაია ბაქრაძე
თეა სონაშვილი-ნიკოლაიშვილი

განმცხადებელი – სს „ბითივი ბანკი“
წარმომადგენელი – ლერი გულედიანი

მოწინააღმდეგე მხარე: შპს „მიქსოლი“, გიორგი მირუაშვილი, მზია ადამია

განმცხადებლის მოთხოვნა – შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის“ 2011 წლის 24 იანვრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა – მოწინააღმდეგე მხარე გიორგი მირუაშვილისათვის სს „ბითივი ბანკის“ შუამდგომლობის და თანდართული მასალების ჩაბარების თაობაზე სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა იხილავს სს „ბითივი ბანკის განცხადებას შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის“ 2011 წლის 24 იანვრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულების თაობაზე. მოწინააღმდეგე მხარეს გიორგი მირუაშვილს ორჯერ გაეგზავნა სასამართლო გზავნილი სს „ბითივი ბანკის“ განცხადებაზე. ვინაიდან ვერ ხერხდება მისთვის გზავნილის ჩაბარება, არც მისი ზუსტი მისამართია ცნობილია, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია საჯარო შეტყობინების გავრცელება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამის სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარის გიორგი მირუაშვილის ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის გზავნილის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, პალატა თვლის, რომ გიორგი მირუაშვილს საჯარო შეტყობინებით უნდა ეცნობოს სს „ბითივი ბანკის“ შუამდგომლობის შინაარსი.

სააპელაციო პალატა თვლის, რომ საჯარო შეტყობინება უნდა გავრცელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე განჩინების გამოქვეყნების გზით.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 390-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ეცნობოს, გიორგი მირუაშვილს რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2ბ/486-11 სს „ბითივი ბანკის“ განცხადების გამო შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის“ 2011 წლის 24 იანვრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე.

2. მოწინააღმდეგე მხარეს გიორგი მირუაშვილს განემართოს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის თანახმად, ის უფლებამოსილია ამ განჩინების ჩაბარებიდან 05 (ხუთი) დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში წარმოადგინოს შესაგებელი (მოსაზრებები) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით, კერძოდ, მიუთითეთ:

ა. ხომ არ ხდით სადაოდ საარბიტრაჟო შეთანხმების მხარის ქმედუნარიანობას?

ბ. იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მითითებულია საარბიტრაჟო შეთანხმებაში, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ხომ არ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი?

გ. იყავით თუ არა სათანადო წესით ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან ხომ არ არსებობდა საპატიო მიზეზი, რის გამოც ვერ მიიღეთ მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში?

დ. ხომ არ არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილი იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ხომ არ ეხება ისეთ საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს?

ე. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს?

ვ. ხომ არ ხდით სადაოდ, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში?

3. განემარტოს გიორგი მირუაშვილს, განცხადება განხილულ იქნება ზეპირი მოსმენის გარეშე და მიღებული განჩინება გაეგზავნებათ მხარეებს.

4. ასევე განემარტოს გიორგი მირუაშვილს, რომ სასამართლო გზავნილი მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების განხორციელებიდან მეშვიდე დღეს.

5. განჩინების გამოქვეყნება განხორციელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე.

6. განჩინებაზე კერძო საჩივრის წარდგენა არ დაიშვება.

თავმჯდომარე

ბესარიონ ტაბალუა

მოსამართლეები

მაია ბაქრაძე

თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი